ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური
ცენტრი"–ის 2023 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხიანი პროგრამა ბავშვს აღიარებს და ეპყრობა, როგორც საგანმანათლებლო პროცესის აქტიურ მონაწილეს. თითოეული ბავშვს აქვს თავისი გამორჩეული ცხოვრება უნიკალური ოჯახით, ტრადიციებითა და ცხოვრების წესით. საბავშვო ბაღში ბავშვა უნდა იგრძნოს, რომ აღიარებულია თავისი უნიკალურობით.

ა (ა) ი. პ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ა (ა) ი. პ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის საბავშვო ბაგა-ბაღებში განხორციელებული პროგრამის ფარგლებში დირექცია, აღმზრდელ-პედაგოგები და მათი დამხმარეები ცდილობენ ბავშვის ინდივიდუალურ ინტერესებზე დაყრდნობით და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებით - ბავშვი იყოს დამოუკიდებელი და ბედნიერი.

გასული წელი გამოწვევა იყო საქართველოში სკოლამდელი განათლების მიმართულებით. კერძოდ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის სესაბამისად გარდამავალ პერიოდში, 2030 წლის 1 აიანვრამდე უნდა განხორცილედეს საბავშვო ბაგა-ბაღების ეტაპობრივი ავტორიზაცია. განხორცილედა თვითშეფასების პროცესი. მიმდინარე წლის ივლისის თვეში ჩვენი მუნიციპალიტეტის 26 საბავშვო ბაგა-ბაღმა გაიარა თვითშეფასება. თვითშეფასების კითხვარი შედგენილი იყო სტანდარტების მიხედვით, დასრულებული სახით გადაეგზავნა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც საფუძვლად დაედება ავტორიზაციის გავლის განრიგს 2029 წლის ბოლომდე.

აღნიშული თვითშეფასება თითოეულ ბაღს დაეხმარება უფრო ეფექტურად და რეალური საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმოს გარდამავალი პერიოდი, ასევე აღიშნულ პროცესის მიმდინარეობისას დაგვეხმარებიან ხარისხიანი მართვის ცენტრის სპეციალიტები.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის განათლების სისტემის დაფინანსება უზრუნველყოფს სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობას. ყოველწლიურად იზრდება სკოლამდელ განათლებაზე გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხვედრითი წილი მთლიან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან მიმართებაში. ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოებთან კოორდინაცია მუნიციპალური ცენტრის ეფექტიანია, რის გამოც მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე ადვილად ხდება გათვლა სკოლამდელი განათლების კუთხით არსებული საჭიროებების და პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში სწრაფი რეაგირება.

ა (ა)ი.პ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“-ს ძირითადი მიზანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელისშეწყობა და ორი წლის ასაკიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ბავშვის ჰარმონიული განვითარება სასკოლო

მზაობის პროგრამის განხორციელება. „მუნიციპალური ცენტრი“ ასევე თავის საქმიანობას წარმართავს იმ კანონქვემდებარე აქტებით, რომელიც დაარეგულირა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ (08.06.2016).

საბავშვო ბაგა-ბაღების მართვა და უფლებამოსილების გადანაწილება ხორციელდება „მუნიციპალური ცენტრი“-ს მიერ დამტკიცებული ა(ა)ი.პ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის სტრუქტურული ერთეულების, ფილიალების შინაგანაწესი“-ს „მუნიციპალური ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებების და საბავშვო ბაგა-ბაღებში დღის განრიგის მიხედვით. ყველა საბავშვო ბაგა-ბაღი ფლობს დოკუმენტაციას, რომელიც მის საქმიანობას ეფექტურს და გამჭვირვალეს ხდის.

ა(ა)ი.პ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის საბავშვო ბაგა-ბაღებში 2023-2024 სასწავლო სააღზრდელო წელს 54 სააღმზრდელო ჯგუფში ჩარიცხულია 946 ბავშვი.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღმა ახალმოსახლეობა იზეიმა თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ ძალიან ლამაზ შენობაში. საბავშვო ბაგა-ბაღის ყველა სივრცითი ფართი აღჭურვილია შესაბამისი საბავშვო და ორგანიცაციული მართვისთვის საჭირო ინვენტარით. აღნიშნული ბაღის მშენებლობა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორცილედა და მისმა ღირებულებამ შეადგინა 2 243 845 ლარი, 250 000 ლარი კი დაიხარჯა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღსაჭურვად. ნათელი, მზიანი ფართო ოთახები მეთოდოლოგიის შესაბამისად მოწყობილი ,დიდი ლამაზი დარბაზი ბუნებრივი განათებით, სათამაშეოები, ეზოს ატრაქციონები -პატარებს, მათ მშობლებს და თითოეულ ადამიანს დიდ სიხარული მიანიჭა.

„მუნიციპალური ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში მყოფი 26 საბავშვო ბაგა-ბაღიდან 8 არის თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აშენებული და აღჭურვილი (თუზის, ახალთერჯოლის, ნაგარევის, ზდ.ალისუბნის, 26 მაისის, გოგნი, საზანოს და ქ. თერჯოლის №3 ბაგა-ბაღი) მშენებლობა მიმდინარეობს ძევრის საბავშვო ბაგა-ბაღის რომელიც ფუნქციონირებას შეუდგება 2025 წლის იანვრიდან. 17 საბავშვო ბაგა-ბაღი არის ნაწილობრივ რეაბილიტირებული. მთლიანად რეაბილიტირებულია ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის სამზარეულოები, სასაწყობო ფართები და სველი წერტილები.

საბავშვო ბაგა-ბაღების მართვას ახორციელებს „მუნიციპალურ ცენტრში“ დასაქმებული 13 ადამიანი, ხოლო საბავშვო ბაგა-ბაღებში ორგანიზაციულ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს წარმართავს 476 შტატზე დასაქმებული 510 ფიზიკური პირი. „მუნიციპალური ცენტრის“ სახელფასო ფონდი განისაზღვრება 12280 ლარით თვეში, სულ ცენტრის წლიური სახელფასო ფონდი 115665 ხოლო

საბავშვო ბაგა-ბაღების სახელფასო ფონდი განისაზღვრულია 277000 ლარით. სულ საბავშვო ბაგა-ბაღების წლიური სახელფასო ფონდი განსაზღვრულია 3259165 ლარით.

ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“-ს 26 საბავშვო ბაგა-ბაღში ფუნქციონირებს - 54 სააღმზრდელო ჯგუფი. მათ შორის: 26 სასკოლო მზაობის და შერეული ასაკობრივი ჯგუფები.

„მუნიციპალური ცენტრი“-სა და ცენტრის ფილიალების 2023 წლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა - 4908500 ლარი; მათ შორის ფილიალების ბიუჯეტი იყო - 4760000 ლარი; ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 4729002 ლარი; მათ შორის: შრომის ანაზღაურების ფონდში დაიხარჯა - 3380855 ლარი. საქონელი და მომსახურეობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა - 1082481 ლარი. მათ შორის: კვების ხარჯი - 500660 ლარი (10 დღიური მენიუს მიხედვით კვების სტანდარტების შესაბამისად); შტატგარეშე ანაზღაურების ფონდში დახარჯულია - 54883ლარი,აღნიშნული თანხა გახარჯულია საბავშვო ბაგა-ბაღებში მთელი წლის განმავლობაში წარმოშობილი საქმიანობიდან გამომდინარე. კაპიტალურ ხარჯში დახარჯულია - 265666 ლარი რომელიც დაიხარჯა ქ.თერჯოლის №3 ახალ საბავშვო ბაგა-ბაღში გაზის ქსელის მოწყობაზე, ინვენტარის და ტექნიკის შეძენაზე, აგრეთვე სოფ. ეწრის ბაღის სარემონტო სამუშაოებისათვის.

მუნიციპალური ცენტრის ბიუჯეტი იყო 148500 ლარი: ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 145205 ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურების ფონდში დაიხარჯა 134373 ლარი, საქონელი და მომსახურეობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა - 6362 ლარი კაპიტალურ ხარჯში დახარჯულია 4470 ლარი რომლითაც შეძენილი იქნა ცენტის საჭიროებისათვის კომპიუტერი, მონიტორი და პროცესორი.

26 საბავშვო ბაგა-ბაღიდან 7 საბავშვო ბაგა-ბაღში არის ცენტრალური გათბობის სისტემა, ხოლო დანარჩენი ბაღები მომარაგდა სათბობი საშეშე მასალით.

„მუნიციპალურმა ცენტრმა“ 2023 წლიდან დღემდე განახორციელა 98 ტენდერი მათ შორის: 62 გამარტივებული შესყიდვა, 8 კონსოლიდირებული ტენდერი, 23 ელექტრონული ტენდერი, 3 გადაუდებელი შესყიდვა და 90 ხელშეკრულება მომსახურეობის შესახებ. საბავშვო ბაგა-ბაღებში ბავშვის ჰოლისტური ანუ მთლიანობითი განვითარება შესაბამისი გარემოს შექმნითა და საგანმანათლებლო რესურსების შეთავაზევით მიიღქევა, აქედან გამომდინარე პრიორიტეტად გვაქვს

დასახული ადგილობრივ ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზარდოს სკოლამდელი განათლების მიმართულებით გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი.

მნიშვნელოვანია, რომ გარემო სთავაზობდეს მრავალფეროვან რესურსს, მასალებს, რომლებზეც ბავშვს სრული ხელმისაწვდომობა ექნება.

ადრეული და სკოლამდელი განათლების საფეხურზე ბავშვის გარემო საინტერესო და თავგადასავლებით აღსავსე უნდა იყოს.